საქართველო უნდა იყოს!

# ლეგიონერი

ქართველ შევარდენთა ლეგიონის გაზეთი N-2 1989 წ

## გადატეხილი ბერმუხა!

ვინ მოსთვლის უკვე მერამდენედ, ბედსა პუხთალმა მტერი გაგვიხარა! ათას გრიგალსა და ქარტეხილს გამოვლილი, დარში გადატყდა ბერმუხა! რამდენი ტანჯვა, წამება, შეურაცყოფა და დამცირება გადაიტანა – ყველაფერს გაუძლო და აგერ სად უმტყუნა –ვინ იფიქრებდა?

ჯერ კიდევ პირტიტველი ყრმის სუსტ მკერდში მთლად საქართველოს მხურვალე გული ჩაიტია, მთელი თავისი ძალით შეუდგა სალათას ძილით მძინარე ერის გაღვიძებას.

გაშმაგებული გვანჯღრევდა ზვიად გამსახურდიასთან ერთად – ხალხო, გაიღვიძეთ, ადექით, უზეში შხამიანი ქვეწარმავალი შემოგძრომიათ და სასიკვდილოდ გგესლავთ! ყური არავინ შეიბერტყა.

დრო გადიოდა, ყრმა იზრდებოდა, მკლავში და ხმაში ფოლადის სიმტკიცე ემატებოდა.

პირველად ისევ მტერმა მიუგდო ყური, მიუგდო და პრწოლამ აიტანა მხეცი. ჯერ ტკბილი სიტყვით სცადა მისი მოთაფლვა, რას არ დაპირდა, მერე შეშინება დაუწყო – ვერაფერს გახდა, ჭორები დაუყარა, მისი ლაფში ამოსვრა სურდა, მაგრამ ვის შესწევს წმინდანის გასვრის ძალა?

თავის გადარჩენის ინსტიქტმა შიშით აკანკალებული მტერი აიძულა მთელი თავისი ველური სისასტიკით შეტევაზე გადასულიყო – გადასახლება, ციხე, ცემა, შიმშილი, კიდევ ცემა და გვემა, სველი კარცერი, ისევ ცემა, მაგრამ ვერაფრით ვერ გატეხეს მისი სულის სიმტკიცე – აი, ჯანმრთელობა კი მართლაც შეურყიეს.

მარნეულში-ბოლნისში- დმანისსა და აფხაზეთში, დაქირავებული მკვლელების ხროვები მიუსიეს, თბილისში ხელყუმბარა ესროლეს – ყველგან ღმერთი იფარავდა თავის რჩეულს, მაგრამ ნათქვამია "კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო!" ასეც მოხდა. თვით ყოვლის შემძლე ღმერთის მფარველმა კალთამაც ვერ დაიფარა ულმობელი ბედისწერისგან.

გამოგვეცალა ერის ბურჯი, ერის სინდისი და სიამაყე!

დღეს საქართველო გულში დაჭრილი ებრძვის ყვავ-ყორნებს, გაგვიდიდგულდა ისედაც თავს გასული მტერი-დუშმანი,-ტყუილად ჰგონიათ მოკვდა კოსტავაო! არა ის არ მომკვდარა, მან მხოლოდ სახე იცვალა! თორემ ბარე ათას ცოცხალსა სჯობს კიდევ! რამე თუ მასში ღმერთს ედო წილი და აბა ღვთის წილის სიკვდილი ვისა სმენია?

ეხლაც თვალწინ მიდგას 25-თებერვლის მქუხარე დღე, მაშინ პირველად გამოჩნდნენ "პანტიკო"-ს ფირმის ფარებითა და ხელკეტებით დამშვენებული "წესრიგის დამცველნი", ხალხი შედგა, შეყოყმანდა, ცოტა არ იყოს არავინ ელოდა მათს ასეთ აღკაზმულობას.

სიონის ზარის ხმასავით გაისმა მაშინ –"ძმებო ამ ... როგორ შეგეშინდათ, მომყევით!"-ო და ეს ისეთი ვაჟკაცური, მოღიმარე სახით შემოგვძახა, როგორც მას სჩვეოდა ხოლმე...

9-აპრილის დაწყევლილი ღამის სურათიც მახსოვს – ლომივით მძვინვარე ძლივს გავაცალეთ პირსისხლიან ჯალათებს, თვით სიკვდილს ეძებდა გასაგლეჯად!

ბავშვივით გაიხარა ქართველ შევარდენთა ლეგიონის დაარსება, ყოველ თავის გამოსვლაში ეროვნული საჯარისო ფორმირებების დაარსებაზე ამახვილებდა ხალხის ყურადღებას!

11-ოქტომბრის მიტინგზე "სიკვდილი ან გამარჯვება!"-ო ანდერძივით დაგვიბარა, თითქოს გრძნობდაო...

წავიდა ჩვენგან ერის წინაშე პირნათლად ვალ მოხდილი! ვერავინ გააკეთებდა ჩვენს დროში, თან ასე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, იმაზე მეტს, რაც მან გააკეთა!

---

წავიდა ჩვენგან და თავაწეული, ვაჟკაცური ღიმილით შეხვდება თავის წინაპრებს, დაიმედებს მათ – ილვიძებსო თქვენი მოდგმა, თქვენი ჯილაგი! ისინიც მამა-შვილურად ჩაიკრავენ გულში.

ღმერთმა გაანათლოს და აცხონოს მისი სული – ამინ!

---

## რამ მიგვიყვანა აქამდე ?!.

ოდესღაც დედაქალაქში ატეხილ განგაშსს, ორ სამ საათში იგებდა მატილსა და მესტიაში ქართველი კაცი – დღეს კი? ოდითგან მოსდევს ადამიანს სატანისეული ბლინძვა, სიყეყეჩე,- მოწყალეა მაღალი ღმერთი! დრო და დრო ეშმა იმძლავრებს ხოლმე ადამის მოდგმაში და მაშინ გვირისხდება უფალი, ასე მოხდა მაშინ, როს თავს გასულმა ადამიანმა უფალს დაუწყო პოტინი, ბაბილონში კოშკის მშენებლობას მიყო ხელი! მთელი თავისი რისხვა გადმოაფრქვია უგნურთ, რამეთუ უარყვეს მამა-პაპის ადათი, წესი და სატანას მიუგდეს ყური. მას შემდეგ ბევრი ხალხთაგანი, მათ შორის წარჩინებულნიც აღიგავა პირითგან მიწისა, გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც დროზე მოუხმო გონს და ღვთის რისხვას გაუძლო – ისინი დღესაც არიან ამ ქვეყნად! ებრაელებმა საკუთარი ცოდვებით დამძიმებული მშობლიური მიწა მიატოვეს, უცხოეთში მოწამებრივი ცხოვრებით გამოისყიდეს ცოდვანი თვისნი და ამით მოიგეს გული ღვთისა – მანაც შეუნდო! სომხებმაც მათ მიბაძეს, თუმც კი ვერ შეძლეს ბოლომდე შეეთავისებინათ ებრაელთა გზა, მთლად ვერ მიატოვეს მიწის ძახილი – მძიმეა მათი ხვედრი! თუმც საპატიოს, მაგრამ ყველაზე ძნელ გზას ქართველნი დაადგნენ, თავისი მიწა მშობლად მონათლეს, დედას გამჩენი უწოდეს, ღმერთთან გაიგივეს და ამ სამივესთვის ერთნაირი სიყვარულითა და თავგანწირვით იბრძოლეს, სამივე შეინარჩუნეს! ამიტომ შეიყვარა ისინი ღმერთმა და ბევრი სიკეთითაც დააჯილდოვა: მიწა, წყალი, ჰაერი, სილამაზე, ომისა თუ შრომისა, რომელი ნიჭი გინდა, შემართება, ჭკუა თუ გონება, პური თუ ღვინო, ცეკვა-სიმღერა და რაც მთავარია ადათ-წესები! ჩვენმა წინაპრებმაც შეიშნოვეს ყოველივე ეს. ზომიერების გრძნობა ყოველთვის ვერ მოგვდევდა ბაბილონის კოშკის მშენებელთა ნაშიერთ, მაშინ გვირისხდებოდა გამჩენი და მამა-შვილურად გვსჯიდა ხოლმე, რომ სიყეყეჩე გამოებერტყა ურჩთა თავიდან – ღმერთი ვერ იტანს დაწესებული ადათ-წესების უარყოფას!

ადათ-წესები აი ის, რამაც გადაგვარჩინა! დღეს კი? დღეს მიგვივიწყებია მამათა ცხოვრების წესი, საუკუნეთა ქარ-ცეცხლში ნაცადი გზა, სხვათა დაკრულზე ვროკავთ, წინაპარნი ჩვენნი, მათი საფლავები უპატრონოდ მიგვიტოვებია, მათ სალოცავებზე ძაღლი და ღორი ბოგინობს, დაგვიწყებია, რომ თუ საკუთარი მშობლის პატივისცემა დაგიკარგავს, დაგიკარგავს შთამომავალთა შენთა პატივისცემის უფლებაც და მით უმეტეს მტრისგან რად ელი ამას? "დედის წინ მორბენალ კვიცს..." – ჩვენც ასე მოგვდის!

იმ დროინდელი მსოფლიოს მპყრობელნი, სარკინოზებიც კი ერიდებოდნენ ქართველი კაცის ხელყოფას, საქართველოდან ათასობით კილომეტრის მოშორებითაც რომ ყოფილიყო, რადგან იცოდნენ-არას აპატიებდა ქართველი ვისმეს, ღვთის რისხვას გავდა ქართველთა შერისძიება, ვერაფერი დააბრკოლებდათ მათ ამ გზაზე, კოშკის სიმაღლე თოვლიც რომ ყოფილიყო გაარღვევდნენ და მტერს დედას უტირებდნენ, რაგინდ რიცხვ მრავალიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი-გადათელავდნენ, მათს ბელადებსა და მეფეებს კი ვირის ნალებზე ცვლიდნენ, რადგან მეტს არა ფასობდა მტერი ქართველთათვის, თუნდაც წარჩინებული!

დღეს დავივიწყეთ "ვისი გორისა"-ნი ვართ! დავივიწყეთ და მელა ტურის საჯიჯგნი გავხდით. მივატოვეთ წინაპართა გმირული სული, მთლად გავმეძავდით, საკუთარი სულითა და სხეულით ვიწყეთ ვაჭრობა, აღარ გვწამს ღმერთი და აღარც რჯული, არც ერსა და ბერს ვაგდებთ რამედ, მხოლოდ საკუთარი სტომაქის ამოყორვაზე ვფიქრობთ და ამვე დროს საკუთარ თავთან მარტო დარჩენის გვეშინია,-ვიცით, შეიძლება ღმერთი გამოგვეცხადოს და გვკითხოს: "მე ჩემს მსგავსად გამიჩენიხარ და შენ ნადირს რატომ დაემსგავსეო!" გაუთავებელ პურმარილებში, დროს ტარებაში ვეძებთ შვებას, ღვიძლ ძმასთან გაბღენძილები და პომპეზურები, უცხოთა მიმართ ფინია ძაღლებივით ორ თათზე ჩაცუცქულნი ველით ძვალს როდის გადმოგვიგდებენ. სარკეში ჩახედვის გვცხვენია – ჩვენივე თვალები გვზარავს, საკუთარი სიბეჩავის გამო დამონებულნი მფარველებს სხვათა მონებში ვეძებთ – ვაგლახ საქართველოვ! "წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!" ჭეშმარიტად ბრძნული ნათქვამია. მამათაგან ნაშოვნ ქონებას შვილნი ისე ანიავებენ, თითქოს და მტრისააო, ხოლო შვილიშვილთ ისღა დარჩენიათ, რომ პაპების აშენებული ვილები "პრესტიჟული უბნებიდან" გადაცვალონ, დაახურდაონ ან სულაც გაყიდონ. ამიტომ გეკითხებით თქვენ, ჩვენო "ყოვლისშემძლე" თანამემამულენო – გააქვთ იმის გარანტია, რომ მამულიშვილობის ფასად ნაშოვნი ფული, თქვენს შვილებს სასიკეთოდ მოხმარდებათ? ზოგ თქვენგანს ფული მიწაში ულპება და დღეს იმაზე წუხართ, ახლად ნაშოვნი სად შეინახოთ ამ დროს თქვენს თანამოძმეს ლუკმა-პური ენატრება, იფიქრეთ ამაზე, დაფიქრდით მომავალზე – ის ჭირი, რომელიც დღეს თქვენს მეზობელს აწუხებს, ხვალ შენს კარებზე მოაკაკუნებს, მაგრამ გვიანი იქნება თითზე კბენა. შარშან ამ დროს "ჭორი" გავარდა –აფხაზეთში ექსტრემისტები ფულს აგროვებენ, იარაღის შესაძინადო! ყური არავინ შეიბერტყა ნათქვამია "ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო!" ასეც მოხდა. წიგნებით "შეიარაღებულ" იმ გოგო-ბიჭებს კი ვეღარაფერი ეშველებათ, მაგრამ ხვალ შენი შვილი ან შვილიშვილი ხომ შეიძლება იგივე უბედურობაში მოყვეს, ასე არაა?

ჩვენი ბიჭების თავგანწირვის ფასად მოპოვებული იარაღის ნაწილი დღეს გარეწრების ხელშია მოხვედრილი და მას აფხაზებს აწვდიან. არა რათქმა უნდა მათთვის ფულია მთავარი, რომელიც არ აქვთ ქართველებს და სამაგიეროდ ბლომადა აქვთ აფხაზ ექსტრემისტებს, რამე თუ მათ თითო ოჯახს ორას-ორასი მანეთი შეაწერეს, ხოლო სქელ ჯიბიანებს "პაიც" კი დაუნიშნეს, რადგან ეს მათთვის თავისებური ურთიერთ დახმარების ფონდის მსგავსი რამაა. დღეს ჩოჩიევის წვირიანი დამქაშები, მთელს საქართველოში დაძრწიან და იგივე ორას-ორას მანეთს აგროვებენ ოს მოსახლეობაში, ყასიდად "ოლიციოზს" ლანძღავენ, ისინიც ასევე პასუხობენ, სინამდვილეში მათ ბანკში ანგარიში გაუხსნეს, ამას წინათ 12-გვერდიანი გაზეთიც კი გამოსცეს-"ადამონ ნიხასი №1" /სახალხო შეკრება და არა სახალხო ტაძარი როგორც მას უწოდებენ ხოლმე/ გაზეთის თორმეტივე გვერდზე ჩვენი ერის გინებაა. განგებ ხელახლა გამოაქვეყნეს ა.ჩოჩიევის მიმართვა "მოძმე აფხაზი ხალხისადმი" და აფხაზთა საპასუხო მიმართვა "მოძმე ოსი ხალხისადმი" და ეს მაშინ, როცა უკვე იყო 9-აპრილი, 15-16 ივლისი. ზოგიერთი ჩვენი ენატლიკინა "ინტელიგენტი" კი თავისი სიტუტუცის გამო სამაჩაბლოს მიწებს უმტკიცებს მათ, "თქვენ ეგ მიწა სისხლითა გაქვთ ნაყიდიო"?! საკითხავია თვითონ რა ფასად გაყიდა? თუმც მათი ფასი დიდი ხანია ცნობილია 30-ვერცხლი! ამიტომაა რომ თავსგასულნი სამაჩაბლოს ქართველობას ასე მიმართავენ "ფული გადმოგვირიცხეთ, ორივე ოსეთს გავაერთიანებთ, ქართველობას გავწყვეტთ, ხოლოვინც დარჩებით, მათ ქართულად ლაპარაკს არ დაგიშლითო!"-როგორია?! დიდი წყალობაა მე და ჩემმა ღმერთმა!

თბილისში იატაკქვეშა ყრილობა ჩაატარეს, აქაური ოსი ინტელიგენციის ნაწილის მონაწილეობით, სამოქმედო გეგმა შეუთანხმეს აფხაზ მკვლელებს, აქაც ჩამოუარეს ფული აკრიფეს, ალბათ ჩვენს ხარჯზე გასუქებულთ "პაიც" დაუნიშნეს შესატანად, ფაქტი კი ერთია – იარაღის პარტია, პარტიაზე შედის სამაჩაბლოში, რისთვის? ამას ალბათ თქვენც მიხვდებით! მოსკოვში რუქები დაბეჭდეს-"მტკვარს ზემოთ სულ ოსეთი ყოფილა! სომხებმა ერევანში გამოცემულ რუქებზე, მტკვარს ქვემოთ მიწები სომხეთად გამოაცხადეს" ძ კი ვეღარ გავიგე, საზღვარი მდინარის სანაპიროზე გაავლეს თუ წყალწყალ სიბრულის უფლებაც ჩამოგვართვეს? – ვაი ჩვენ, ალგეთელებო! ყოველივე ეს ალბათ სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს! სისხლის ნაკადულები კი დის დრო გამოშვებით, მრავალ ტანჯულ ქართულ მიწაზე და გამკითხავი არავინაა, ხვალ რა იქნება, არც ეს იცის ვინმემ! ჩვენი სიბეჩავე ჩვენს მტერს კარგად შეუგნია, ჩვენ ვერაფრით გამოვიბერტყეთ ყურები და ამან გაგვითამამა ისინი! ალბათ ფიქრობენ "გაწყალებულაო ქართლოსის სისხლი!" ჩვენს მიწაზე გასუქებულნი, დღეს ოსები ბრალს გვდებენ – ქართველებს ჩვენი გადაგვარება სურთო. "ადამონ ნიხასის" მიერ გამოცემული გაზეთი ვისაც წაგიკითხავთ, გაგეცინებათ – თურმე ჩვენი ბრალია, რომ რუსულის გარდა ოსე-

